# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 417

„23" სექტემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის №01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 სექტემბრის №25.1486.1689 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის №01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012510120-67 (№01252032245-67; №01252101-67; №01252201-67; №01252312996-67; №01252391599-67; №01252453512-67; №01252471360-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64 ), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **ზურაბ აბაშიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 25.1486.1689**
**10 / სექტემბერი / 2025 წ.**

**,,ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 11 აპრილის N012510120-67 (N01252032245-67; N01252101-67; N01252201-67; N01252312996-67; N01252391599-67; N01252453512-67; N01252471360-67) განცხადებით მიმართა გიორგი თარაშვილმა (პ/ნ 01017004361) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია, რომელსაც ეხება კორექტირება მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.27.091). ფართობი 360 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

,,ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმედბარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთნხმების შესახებ'' თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით დამტიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის კორექტირებაც განხორციელდა რამდენჯერმე.

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ბოლოს დაკორექტირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივნისის N247 განკარგულებით.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ის პარამეტრებით კ1=0,5; კ-2=0,7; კ-3=0,2; (სართულიანობა - 3 სართული).

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, აქედან ნაკვეთი N81.02.03.334 წარმოადგენს გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიას, რომელზეც მოქმედებს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), მასზე განთავსებულია სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა და საკულტო ნაგებობა; ხოლო, ს/კ: N81.02.03.849; 81.02.03.759; 81.02.27.008; 81.02.27.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად დაგეგმილია გზის მოწყობა;

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად N17 სექტორი - 2807 კვ.მ. წარმოადგენდა მუნიციპალურ საკუთრებას, იგი წარმოდგენდა არასამშენებლო ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია უკვე დაყოფილია 5 საკადასტრო ერთეულად (NN81.02.27.024; 81.02.27.289; 81.02.27.023; 81.02.27.022; 81.02.27.091) და ერთი ნაწილი კვლავ დაურეგისტრირებელია. N81.02.27.023; N81.02.27.022 მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ხოლო N81.02.27.024; N81.02.27.289 და დაურეგისტრირებელი ნაწილი კვლავ მუნიციპალურ საკუთრებაშია. (მიწის ნაკვეთების გამიჯვნა მოხდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შეუსაბამოდ).

N012510120-67 (N01252032245-67; N01252101-67; N01252201-67; N01252312996-67; N01252391599-67; N01252453512-67; N01252471360-67) განცხადებით წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტში ასახულია N17 სექტორში უკვე გამიჯნული მიწის ნაკვეთების საზღვრები, თუმცა სამშენებლოდ გამოყოფილია მხოლოდ სექტორი N110 - 81.02.27.091 – 360 კვ.მ (კორექტირებით ძირითადი ცვლილება), სადაც დაგეგმილია 2 სართულიანი ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლის განთავსება.

N17 სექტორში დაყოფილი სხვა დანარჩენი სექტორები (N17, N108, N109, N111) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით კვლავ რჩება არასამშენებლო ტერიტორიად.

კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

სექტორი N110 - N81.02.27.091 – 360 კვ.მ (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი)

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)

კ-1=0,5

კ-2=0,7

კ-3=0,4

2 მიწისზედა სართული /15 მეტრი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით

განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 4 სექტემბრის N01252472550 წერილის შესაბამისად, სააგენტო წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012510120-67 (N01252032245-67; N01252101-67; N01252201-67; N01252312996-67; N01252391599-67; N01252453512-67; N01252471360-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01252472550**
თარიღი: **04/09/2025**

2025 წლის 4 სექტემბრის N01252471360-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.02.27.091) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა** და **შეთანხმების წერილები** (N 16-01252383055, 29/08/2025; MIA 8 25 02816243, 01/09/2025). გეგმარება შესაბამისობაშია ზემოხსენებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების **წინააღმდეგი არ არის.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის საკრებულოს
გადაწყვეტილება N 8-13
2001 წლის 1 აგვისტო

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა
და განაშენიანების რეგულირების წესების
[illegible]




პირობითი აღნიშვნები
Drawing name

- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- საპროექტო ტერიტორია
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსების არეალები
- პირობითი საპროექტო არეალი
- საზოგადოებრივი სივრცე

ნახაზის დასახელება
Drawing name

საპროექტო უფლებრივი ზონირების გეგმა

| ფორმატი | მასშტაბი |
|---|---|
| A 2 | 1:2000 |
| ფურცლები | ფურცელი |
| 49 | 37 |

შენიშვნა
Notes

1. შენობების განთავსება დასაშვებია გეგმაზე წარმოდგენილი საპროექტო არეალის ფარგლებში, რეგ. ხაზების გათვალისწინებით. ნახაზზე მითითებული განთავსების კონტურები პირობითია.
2. საცხოვრებელი ზონის არეალში სდასაშვებია ზონის მახასიათებელი ობიექტის განთავსება, სპორტ. მოედანი, ბავშვთა გასართობი მოედანი, სკვერი და სხვა.

პროექტის მონაცემები
Projects Details
პროექტის დასახელება

მისამართი:

სოფელი ტაბახმელა

საპროექტო ორგანიზაცია
Company name

A3 Architects
Urban planning & Architecture

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | [illegible] | |
| მთ. არქიტექტორი | [illegible] | |
| არქიტექტორი | | |

# არსებული



# საპროექტო



პირობითი აღნიშვნები
Drawing name

- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- საპროექტო ტერიტორია
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსების არეალები
- პირობითი საპროექტო არეალი
- საზოგადოებრივი სივრცე

| ნახაზის დასახელება<br>Drawing name | | |
|---|---|---|
| არსებული და საპროექტო უფლებრივი ზონირების გეგმები | | |
| ფორმატი | მასშტაბი | N |
| A 2 | 1:2000 | |
| ფურცლები | ფურცელი | |
| 49 | 38 | |

შენიშვნა
Notes

1. შენობების განთავსება დასაშვებია გეგმაზე წარმოდგენილი საპროექტო არეალის ფარგლებში, რეგ. ხაზების გათვალისწინებით. ნახაზზე მითითებული განთავსების კონტურები პირობითია.
2. საპრეკრეაციო ზონის არეალში სდასაშვებია ზონის მახასიათებელი ობიექტის განთავსება, სპორტ. მოედანი, ბავშვთა გასართობი მოედანი, სკვერი და სხვა.

პროექტის მონაცემები
Projects Details
პროექტის დასახელება

საცხოვრებელი კომპლექსის [illegible]

მისამართი:

სოფელი ტაბახმელა

საპროექტო ორგანიზაცია
Company name

A3 Architects
Urban planning & Architecture

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | [illegible] | |
| მთ. არქიტექტორი | [illegible] | |
| არქიტექტორი | | |

# არსებული




# საპროექტო




**პირობითი აღნიშვნები**
Drawing name

- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- საპროექტო ტერიტორია
- მიმდებარე მიწი ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსები არეალები
- პირობითი საპროექტო არეალი
- საზოგადოებრივი სივრცე

| ნახაზის სახელწოდება / Drawing name | შენიშვნა / Notes | პროექტის მონაცემები / Projects Details | საპროექტო ორგანიზაცია / Company name |
|---|---|---|---|
| არსებული და საპროექტო უფლებრივი ზონირების გეგმები | | პროექტის სახელწოდება | A3 Architects<br>Urban planning & Architecture |
| ფორმატი: A 2 · მასშტაბი: 1:500 | | მისამართი: | თანამდებობა · გვარი · ხელმოწერა |
| ფურცლები: 49 · ფურცელი: 39 · N | | სოფელი ტაბახმელა | |







| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაკვეთის ნომერი | 1 |
| 2 | ნაკვეთის ფართობი | 360 მ² |
| 3 | დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება | სასოფლო-სამეურნეო |
| 4 | ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა | პერიფერიული ზონა |
| 5 | კონკრეტული ფუნქციური ზონა | საცხოვრებელი ზონა 1 |
| 6 | სამშენებლო გამოყენების სტატუსი | სამშენებლო |
| 7 | გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები | ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი |
| 8 | შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან სართულიანობა | 2 მიწისზედა სართული+სახურავი (15 მ.) |
| 9 | ავტოსადგომების აუცილებელი მინიმალური რაოდენობა | 1 გარე ავტოსადგომი (კ2 180 კვმ-ზე 1) |
| 10 | კ1 კოეფიციენტი | 0.5 |
| 11 | კ2 კოეფიციენტი | 0.7 |
| 12 | კ3 კოეფიციენტი | 0.4 |
| 13 | მიწის ნაკვეთის დაყოფა გამიჯვნის რეჟიმი | არ არის დასაშვები |
| 14 | 1. მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების წესი<br>2. შენობების რაოდენობა<br>3. წყობის სახეობა<br>4. რეგულირების ხაზი | 1. შენობების განთავსება - დასაშვებია საპროექტო არეალში<br>2. შენობების რაოდენობა - 1 ძირითადი და 1 დამხმარე [illegible]<br>3. წყობის სახეობა - ღია<br>4. რეგულირების ხაზი - ნიშნული |
| 15 | შენობა-ნაგებობის გადახურვის ტიპი | ბრტყელი ან ქანობიანი |

პირობითი აღნიშვნები
Drawing name

- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- საპროექტო ტერიტორია
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის მესაძლო განთავსების არეალები
- პირობითი საპროექტო არეალი
- საზოგადოებრივი სივრცე

ნახაზის სახელწოდება
Drawing name

მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტი

| ფორმატი | მასშტაბი |
|---|---|
| A 2 | 1:3500, 1:150 |
| ფურცლები | ფურცელი |
| 49 | 43 |

N

შენიშვნა
Notes

პროექტის მონაცემები
Projects Details
პროექტის სახელწოდება

საცხოვრებელი კომპლექსის გზა

მისამართი:

სოფელი ტაბახმელა

საპროექტო ორგანიზაცია
Company name

A3 Architects
Urban planning & Architecture

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | [illegible] | |
| მთ. არქიტექტორი | [illegible] | |
| არქიტექტორი | | |